საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12600/01
07/12/2021

12600-01-2-202112071219

შპს „New Road"-ს
მის: ქ. თბილისი, საირმის ქ. N35

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 5 ნოემბრის N19731 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტს და გაცნობებთ შემდეგს:

- საპროექტო ტერიტორია (საკადასტრო კოდი: 30.17.32.235) წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს. „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია.
- სკრინინგის გამცხადებაში წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა ფ.პ როინ ჯაბიძე, აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იქნეს მიწის ნაკვეთით სარგებლობის შესახებ მესაკუთრესთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წარმოდგენილი არ არის საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეულის შემოტანისა (ნედლეულის ტრანსპორტირების საკითხები) და დასაწყობების საკითხები;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი წყლის აღება გათვალისწინებულია მდ. ქერშავეთიდან. დასაზუსტებელია წყალაღების ტექნიკური გადაწყვეტა და საპროექტო ტერიტორიამდე წყლის მიწოდების საკითხები; ამასთან, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს მდ. ქერშავეთიდან წყლის აღების ჯერადობის, პერიოდულობის (თვეების მიხედვით) და წელიწადის განმავლობაში ასაღები წყლის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია მდ. ქერშავეთის ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, ჩამდინარე წყლების შეკრება გათვალისწინებულია სალექარში. დასაზუსტებელია სალექარის პარამეტრები, ასევე, წყალჩაშვების წერტილამდე წყლის მიწოდების საკითხები და წლის განმავლობაში მოსალოდნელი ჩამდინარე წყლების რაოდენობა;
- სკრინინგის განცხადებაში განხილული არ არის სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები;
- განხილული არ არის საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის არსებობისა და მასზე ზემოქმედების (მოხსნა, დასაწყობება და შემდგომი მართვა) საკითხები;
- წარმოდგენილი არ არის საწარმოს გენ-გეგმა და ტექნოლოგიური სქემა;
- დაზუსტებას საჭიროებს სამსხვრევი დანადგარის მოდელი და სხვა ტექნიკური პარამეტრები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე